

Image not found or type unknown

მაგდა პაპიძე რომ უდანაშაულო ყოფილიყო...

პ.ს. დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ ბლოგი არ ეხება მაგდა პაპიძის მიერ ჩადენილ დანაშაულს და არც ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს. ეს ბლოგი საზოგადოებაზე, პაპიძის დანაშაულობის მიღმა არსებულ საზოგადოებაზე, რომელმაც სასამართლო პროცესების დაწყებამდე და მტკიცებულებების გამოკვლევამდე გამოიტანა განაჩენი.

ხდება ასე, რომ ქმრები კლავენ ცოლებს, ცოლები ქმრებს, დედები შვილებს და მაგდა პაპიძის საქმე არც პირველი შემთხვევაა და არც უკანასკნელი, სამწუხაროდ. თუმცა, აღნიშნული პროცესი ნამდვილად უპრეცედენტოა თავისი რეზონანსით მედიასა და საზოგადოებაში. 2015 წლის 20 დეკემბრიდან ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა თუ როგორ მოკლა 25 წლის გოგომ ქმარი და მცირეწლოვანი შვილი. რა თქმა უნდა, იმაზე დიდი ტრაგედია არაფერია, როცა დედა შვილს კლავს და ეს დანაშაულიც თავისი შინაარსით ძალიან მძიმე და სენსიტიურია ყველასთვის. თუმცა, მაგდა პაპიძის საქმის გარშემო დატრიალებულმა ამბებმა, სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოაჩინა, რომლის საფუძველიც ჩვენში ღრმად გამჯდარი და დაღეჭილი სტერეოტიპებია.

პაპიძის საქმე არის ამბავი საზოგადოებაზე, რომელსაც შეუძლია ძალიან მარტივად, დაუფიქრებლად, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე ბოლომდე განიროს ადამიანი, ისე რომ გადარჩენის გზაც არ დაუტოვოს. ეს არის ამბავი არაპროფესიონალ და არაჰუმანურ მედიაზე, რომელსაც შეუძლია უდიდესი ტრაგედია ჩვეულებრივ, ტაბლოიდურ, ყვითელ თემად აქციოს. და რაც მთავარია, ეს არის ამბავი მორალისტურ საზოგადოებაზე, რომელიც თავადვე ხდება ტყვე მორალური თუ სტერეოტიპული წარმოდგენების და ქმნის შერჩევითი სამართლიანობის პრეცედენტებს.

გიფიქრიათ რა მოხდებოდა, მაგდა პაპიძე რომ უდანაშაულო ყოფილიყო?...

პ.ს. ოფიციალური მონაცემებით 2014 წელს 34 ქალის მკვლელობა მოხდა, სადაც მინიმალური სასჯელი იყო ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, ხოლო მაქსიმალური 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 3 შემთხვევაში. 2 საქმეზე მსჯავრდებულს ფსიქიკური აშლილობის გამო სასჯელის მოხდა დაუდგინდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სამედიცინო დანესებულებაში.

ამ საქმეებიდან უმრავლესობა ალბათ საზოგადოების დიდ ნაწილს არც სმენია, არ დაინტერესებულა სათანადოდ დაისაჯნენ თუ არა დამნაშავეები. დანაშაული ვი, ვინც არ უნდა იყოს მსხვერპლი, დანაშაულია და დამნაშავე აუცილებლად უნდა დაისაჯოს სამართლიანად. უპირველესად ეს უნდა იყოს საზოგადოების მოთხოვნა და ინტერესი დანაშაულების მიმართ არ უნდა იყოს შერჩევითი, რადგან სამართლიანობა ადამიანობის გარეშე ნაჯახია და ადამიანობა სამართლიანობის გარეშე უზნეობა.

ნინო ბალაშვილი საიას იურისტი

შესაძლოა პოსტის შინაარსი არ ასახავდეს საიას პოზიციას